

ქართულის, როგორც მეორე ენის, საგამოცდო პროგრამა (მე-8 კლასი)

პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ ქართულის, როგორც მეორე ენის, საგნობრივ პროგრამას.

საგამოცდო პროგრამის ენობრივი საკითხების ჩამონათვალი ლექსიკა:

- სინონიმები, ანტონიმები; საერთაშორისო სიტყვები (*ლექსიკა*).
- სიტყვაწარმოება.

მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი:

- *ჯგუფები;*
- *ბრუნება; კუმშვა, კვეცა;*
- *რიცხვი.*

2. ზედსართავი სახელი:

- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად;*
- *ხარისხის ფორმები.*

3. რიცხვითი სახელი:

- *რაოდენობითი, რიგობითი;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

4. ნაცვალსახელი:

- *პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

5. ზმნა:

- *პირი და რიცხვი;*
- *დრო;*
- *ასპექტი;*
- *ზმნისწინი;*
- *საწყისი და მიმდებარეობა.*

6. ზმნიზედა.

7. თანდებული.

8. კავშირი.

9. ნაწილაკი.

სინტაქსი:

1. წინადადების ტიპები:

- *შინაარსის მიხედვით;*
- *აგებულების მიხედვით.*

2. წინადადების წევრები.

3. სინტაქსური ურთიერთობები წინადადების წევრებს შორის.

4. განკერძოებული სიტყვები: *მიმართვა, ჩართული, დანართი.*

ორთოგრაფია:

1. რთული სიტყვების მართლწერა.

2. რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით.

3. ფორმაცვალეზობასა და სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

4. თანდებულიან სახელთა მართლწერა.

პუნქტუაცია:

სასვენო ნიშნები მარტივ, ერთგვარწევრიან და რთულ წინადადებებში.

ტექსტში წარმოდგენილი დავალებები სტანდარტით გათვალისწინებული VIII დონის შესაბამისი იქნება.

საგამოცდო ტესტი შეამოწმებს:

1. ლექსიკის ცოდნას;
2. გრამატიკის ცოდნას, კონტექსტის შესაბამისი გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
3. სხვადასხვა სახის მარტივი მხატვრული (*მოთხრობის, ლიტერატურული ზღაპრის...*) და არამხატვრული ტექსტების (*ღია ბარათის, პირადი წერილის, სარეკლამო განცხადების, ბიოგრაფიის...*) წაკითხვისა და გაგების უნარს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის (*ვინ, სად, რა, როდის, რამდენი და სხვა*) ამოცნობა;
- ტექსტის ავტორის, ადრესატის, თემისა და მიზნის ამოცნობა;
- პერსონაჟთა ქცევის მოტივის ამოცნობა;
- მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის გარკვევა;
- ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა;
- ნათქვამის მოდალობის (*შეკითხვის, თხოვნის, რჩევის, ბრძანების*) გარჩევა;
- ფაქტის, ვარაუდისა და თვალსაზრისის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების კონტექსტის გათვალისწინებით სწორად შერჩევა;
- ძირითადი ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.